

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტის  
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის  
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

25 ივნისი 2018 წელი

2018 წლის 25 ივნისს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**კომისიის თავმჯდომარე:**

ხუჭუა ვაჟა - გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
უფროსი, პროფესორი.

**კომისიის წევრები:**

1. შენგელია რომანი - გთუნი-ს კერძო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.
2. ლობჯანიძე გივი - გთუნი-ს საჯარო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.
3. ჭელიძე სერგო - გთუნი-ს საჯარო სამართლის კათედრის პროფესორი.
4. დოლონაძე ლევანი - გთუნი-ს იურიდიული სამსახურის უფროსი, პროფესორი.

**კომისიის მდივანი:**

თევდორაძე ნუგზარი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

## **დღის წესრიგი:**

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. ვაჟა ხუჭუა, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტთან გასაუბრება.

## **მოისმინეს:**

პროფესორ ვაჟა ხუჭუას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. ვაჟა ხუჭუამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2018 წლის 02 მაისს გამოცემული ბრძანების (#01-01/30) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2018 წლის 05 ივნისიდან 2018 წლის 13 ივნისის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2018 წლის 25 ივნისი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2018 წლის 29 ივნისს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 10.05.2018წ.-16.05.2018წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 1 კაცით (საჯარო სამართლის კათედრა - 1 პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 1 კანდიდატმა.

კანდიდატის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, ვაჟა ხუჭუამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატის საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

## დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტი:

## სამართლის ფაკულტეტი

### საჯარო სამართლის კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

შენგელი ფიცხელაური

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; ( 26, 27, 28 ივნისი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 29 ივნისს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

კომისიის წევრები:

პროფ. რომანი შენგელია

პროფ. გივი ლობჯანიძე

პროფ. სერგო ჭელიძე

პროფ. ლევან დოლონაძე

მდივანი:

ნუგზარ თევდორაძე